მიღება-ჩაბარების აქტი

15 იანვარი, 2015 წ.

ხელშეკრულება №01-03-06

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერებმა: ერთის მხრივ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრმა (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნემ", (შემდგომში – მიმწოდებელი) შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზე, რომ მიმწოდებელმა შეასრულა მხარეებს შორის 2015 წლის 14 იანვარს დადებული №01-03-06 ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება. კერძოდ, უზრუნველყო ,,მაცნეს" ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურეობის სისტემით სარგებლობის უფლება, რისთვისაც გადასცა სისტემაში შესასვლელად საჭირო სახელი და პაროლი, რასაც მხარეები ადასტურებენ ხელმოწერებითა და ბეჭდებით.

შესყიდული მომსახურების ღირებულება შეადგენს შეადგენს 2 016 (ორიათასთექვსმეტი) ლარს.

წინამდებარე აქტი შედგენილია სამ ცალად. ორი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ერთი – მიმწოდებელთან.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
იურისტი — გ. ბაჯელიძე

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარე — გიორგი პატარიძე